საქართველოს მთავრობის

დადგენილება №180

2024 წლის 4 ივნისი

ქ. თბილისი

„მიწის ბალანსის შედგენისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის №166 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიწის ბალანსის შედგენისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის №166 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/04/2021, 370020000.10.003.022721) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიწის ბალანსის გამოქვეყნება ხდება ელექტრონული ფორმით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (შემდგომში – სამინისტრო) და სააგენტოს ვებგვერდებზე (www.mepa.gov.ge, www.land.gov.ge), პერიოდულად, საჭიროების მიხედვით, ხოლო სავალდებულო წესით – ყოველწლიურად, არაუგვიანეს შესაბამისი წლის 31 დეკემბრისა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**